

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 19 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• *გაზინსი ლატვიის წინააღმდეგ – (განაცხადი №69458/01)*

აპლიკანტი ივარს გაზინსი ლატვიის მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ცხოვრობდა ბაუსკას რაიონში (ლატვია), მაგრამ აქამდე იმყოფება ციხეში. ის დააპატიმრეს 2000 წელს და ბრალდებულად სცნეს მკვლელობის ჩადენაში. 2003 წელს იგი გაასამართლა პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა სააპელაციო განხილვები დღესაც მიმდინარეობს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი დაკავება იყო უკანონოდ. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს გაჭიანურებით. კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ იგი არ იყო შესაბამისად ინფორმირებული თუ რაში ედებოდა ბრალი და არ ჰქონდა უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილები (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), ხოლო არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის II (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლის I და III ნაწილები (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტის მიერ სასამართლოსადმი არ გაკეთებული შესაბამისი მოთხოვნა დადგენილ ვადებში.

• *შპს Elcomp sp.z o.o. პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №37492/05)*

აპლიკანტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია ვარშავაში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით, აპლიკანტი კომპანია ჩივის, რომ უკიდურესად გაზრდილი სასამართლო ბაჟის გამო მათ ვერ შეძლეს სასამართლოში სარჩელის შეტანა მოპასუხე კომპანიის მიმართ, რადგან დაკისრებული ჰქონდა 38 500 ევროს გადახდა, რაც მათთვის შეუძლებელი იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- **მიუულსკი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №49974/08)**
- **ტომაშ კვიატკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №24254/05)**

აპლიკანტები არიან პოლონეთის მოქალაქენი. რობერტ მიუულსკი დაიბადა 1930 წელს და ცხოვრობს ვარშავაში. ტომაშ კვიატკოვსკი დაიბადა 1948 წელს და ცხოვრობს კონსტანცინ-იეჟიორნაში (პოლონეთი). ორივე საქმე ეხება აპლიკანტების წინააღმდეგ წარმოებულ ე.წ. „ლუსტრაციის განხილვებს“, რომელიც 1997 წლიდან შემოიღეს პოლონეთში და მიზნად ისახავდა კომუნისტების მმართველობის პერიოდში მათთან მომუშავე, ან უშიშროებასთან თანამშრომლობაში მყოფი პირების გამოაშკარავებას. შედეგად, ბატონი მიუულსკის შეუწყდა პარლამენტის წევრობის უფლება, ხოლო ბატონ კვიატკოვსკის, რომელიც იყო ადვოკატი, გაათავისუფლეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობიდან. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილების თანახმად, განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ წინააღმდეგ წარმოებული ლუსტრაციის პროცესი იყო უსამართლო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

- **პასტორი და ჯისლეტე რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №№30911/06 და 40967/06)**

განმცხადებლები რუმინეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1957 და 1967 წლებში და ცხოვრობენ კლუჟ-ნაპოკაში (რუმინეთი). საქმე ეხება ანტი-კომუნისტური დემონსტრაციის სასტიკად დარბევას, რომელიც 1989 წლის დეკემბერში მოხდა კლუჟ-ნაპოკაში (რუმინეთი). ქალბატონი როქსანა უისლეტეს ქმარი, სხვა 25 დემონსტრანტთან ერთად მოკლეს პროტესტის მსვლელობისას. ბატონ პასტორსა და 52 სხვა პირს ესროლეს და ტყვიით დაჭრეს. კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება) დაყრდნობით, აპლიკანტები აცხადებენ, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვები, რომელის 2006 წელს დასრულდა, იყო უკიდურესად გაჭიანურებული და შესაბამისად გამოძიებაც არაეფექტურად მიმდინარეობდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი და სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 10 000 ევროს გადახდა თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ.

- **ბატურლოვა რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №33188/08)**
- **ხრიკინი რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №33186/08)**

აპლიკანტები ვალენტინა ბატურლოვა და ივან ხრიკინი რუსეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1946 და 1934 წლებში და ცხოვრობენ ელექტროსტალში (მოსკოვის რეგიონი, რუსეთი). ორივე განმცხადებელი ჩივის მათ სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების გაუქმებას, რომელიც მათი პენსიების გაზრდას ეხებოდა, ახლად

აღმოჩენილი გარემოებების გამო. ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევაზე.

სასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა. სახელმწიფოს დაეკისრა თითოეულ განმცხადებლისათვის 7000 ევროს გადახდა.

- **ველიკოვი სერბეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №23087/07)**

აპლიკანტი რაიკა ველიკოვი სერბეთის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს იადრანსკა ლეშნიცაში (სერბეთი). საქმე ეხება მისი ქალიშვილის მეურვეობის პროცესს, რომელიც დაიბადა 2002 წელს. განხილვები დაიწყო 2006 წლიდანვე, როცა მან მიატოვა თავისი პარტნიორი. განმცხადებელი კონკრეტულად ჩიოდა იმის თაობაზე, რომ მან ვერ მოახერხა ურთიერთობის დამყარება თავის ქალიშვილთან, რომელიც მამასთან ცხოვრობდა, რადგან საქმის განხილვა გაჭიანურდა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში).

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 2600 ევროს გადასახადი არამატერიალური, ხოლო 1300 ევროს გადახდა ხარჯებისა დასაფარად.

- **ათანასოვი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ – (განაცხადი №41188/06)**

აპლიკანტი სანდე ათანასოვი მაკედონიის მოქალაქეა, დაიბადა 1959 წელს და ცხოვრობს ნეგოტინოში („ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“). საქმე ეხება ბატონი ათანასოვის ბრალდებას და სამი წლით პატიმრობის მისჯას ცილისმწამებლური წერილის გამოქვეყნების გამო, რომელშიც იგი აკრიტიკებდა მის ყოფილ დამქირვებელ კომპანიას დაქირავებული და აქციონერი პირების მიმართ მოპყრობის გამო. ბატონი ათანასოვი აცხადებდა, რომ წერილი გამოქვეყნდა მისი ნებართვის გარეშე. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას არ მიეცა ერთადერთი მოწმის დაკითხვის საშუალება, რომელიც მის წინააღმდეგ იძლეოდა ჩვენებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები. სახელმწიფოს დაეკისრა 3200 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

- **ერკოლი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №50172/06)**

აპლიკანტი ენგინ ერკოლი, თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს ტრაბზონში (თურქეთი). იგი მუშაობდა თურქეთის ბანკის ფულის გადამზიდავ მანქანაზე. განმცხადებელი დააპატიმრეს 1998 წელს და აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხებოდა 20 000 (დაახლოებით 10 000 ევრო) თურქული ლირის დაკარგვის ფაქტს. იგი გაასამართლეს იმ კანონის თანახმად, რომელიც ეხებოდა 1999 წლამდე ჩადენილ დანაშაულებებს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 7200 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

ანალოგი საქმეები

- **მონტერეიო დე ბაროს დე მატოს ე სილვა ა დეგას კოელიო და სხვები პორტუგალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №25038/06)**

2010 წლის 13 ივლისის განჩინებით სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა, აპლიკანტისათვის მიკუთვნებული კომპენსაციის გადაუხდელობის გამო, რომელიც მისი ქონების ექსპროპრიაციის გამო მიეკუთვნა. დღევანდელ განჩინებაში სასამართლომ თითოეულ აპლიკანტს მიაკუთვნა 255 800 ევრო.

- **რიკაჩევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №52283/07, 27824/09, 27834/09, 27843/09, 27847/09, 27907/09, 27911/09, 27918/09, 27923/09, 28034/09 ანდ 28039/09)**

საქმე ეხება ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

- **ველი იალჩინი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29459/05)**

2010 წლის 2 მარტის განჩინებაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა კომპენსაციის მიღების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით და ასევე გენერალური პროკურორის მიერ საკასაციო სასამართლოში შეტანილი მოსაზრების ასლის გაცემაზე უარის გამო. გარდაცვლილი აპლიკანტის წარმომადგენელმა მოითხოვა ამ განჩინების გადახედვა, რადგან ვერ შეძლო მისი აღსრულების უზრუნველყოფა რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა მის მიღებამდე. სასამართლომ ამ განჩინებით განმცხადებლის მემკვიდრეებს მიაკუთვნა 3 600 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

გაჭიანურებული საქმეები

- ქრისანტოპულუსი და ქრიზანტოპულო საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №6530/09)
- პატრიკისი საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი № 5856/09)

აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ მათი სისხლის სამართლის საქმეების განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველ საქმეში დაადგინა ასევე მე-13 მუხლის დარღვევა.

- კონ/ნოს ქიტზოს სოლინურგია აბეე საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №56814/08)
- ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №24411/05)

სასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.